



**კვლევითი ნიშნების
რუკა საქართველოში**

ავტორიტარიზმის
რუკა საქართველოში

იანვარი, 2024



საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

კვლევის ავტორები:

გიორგი მშვენიეაძე

დემოკრატიის მცველები, თავმჯდომარე

ვასილ უიჟიაშვიდი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, მკვლევარი/იურისტი

შოთა ქობაღია

ადამიანის უფლებების სპეციალისტი

კვლევის რედაქტორი:

დავით ზეფელაშვიდი

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, მკვლევარი

ნაშრომი ეფუძნება სპეციალურად შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომელიც საქართველოში ავტოჩიგაჟდ და ახადიბეჟადუჟი პჟაქტიკებს იკვდევს.

მეთოდოლოგიის სანახავად გადადით ამ ბმულზე.

სარჩევნი

1. ავტოჩიგაჲური პიჲქტიკები	8
1.1 აღმასჲუღებელი ხეღისუფღების დღღაუფღების მიტაცება დღ კონსოღიღაცღა	8
1.2 ანგაჲიშვღღებუღების აჲსებუღი კონსტიტუციუჲი მიქღანიზმების სღბოტაჲი დღ მოშღღა	16
1.3. დღღაუფღებღში მყოფი ღიღეჲების მიეჲი დღღაუფღებღში მიუღმივღღ დღჲიღენის თვითუზჲუნვეღყოფღ, ღემოკჲღიღი დღ კონსტიტუციუჲი პიოცესების ბოჲოტღღღ გღმოყენების გზით (აჲღოჲიღღღი პიჲქტიკები).....	21
2. აჲღიბეჲღღი პიჲქტიკები	30
2.1. ინღივიღუღღი ავტონომიისღ დღ ღიღსების ხეღყოფღ დღ დღღაუფღებღზე დღმოკიღებუღების გღზღღღ.	30
2.2. ჲეჲიღის ღოიღღისტი/ღომინღნი ჭგუფებისთვის პიღივიღეღიების გღნმტკიციება	43

1. ავტორიტარული პრაქტიკები

1.1 აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების მიტაცება და კონსოლიდაცია

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების მიტაცება და კონსოლიდაცია და ანგარიშვალდებულების კონსტიტუციური მექანიზმების სისტემატური საბოტაჟი და ჩამოშლა ის ორი ურთიერთდაკავშირებული ავტორიტარული პროცესია, რომლებიც დღეს, პოლიტიკური ტრაექტორიის თვალსაზრისით, კრიტიკულ ეტაპზე მყოფი საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტს განსაზღვრავს. ავტორიტარულ პრაქტიკებს, რომლებსაც სისტემატურ რეჟიმში იყენებს ქვეყნის არაფორმალური მმართველი, უკვე მოჰყვა დესტრუქციული შედეგები არა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და დააზიანა საქართველოს, როგორც ევროატლანტიკური მისწრაფებების მქონე დემოკრატიული სახელმწიფოს, იმიჯი საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ხელში ჩაგდება, როგორც წესი, მოიცავს სტრატეგიებისა და ტაქტიკების მთელ სერიას, რომელიც მიმართულია ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ ერთი პირის ან/და პოლიტიკური პარტიის ხელში. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარული პრაქტიკების სპეციფიკა შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოში, კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, განსხვავდებოდეს, ავტორიტართა ქცევის მოდელებსა და მათ მიერ გამოყენებულ პრაქტიკებში თვალსაჩინო მსგავსებების დანახვა მაინც შესაძლებელია. ქართული რეალობის გათვალისწინებით, ავტორიტარის მიერ ხელისუფლების მიტაცების მცდელობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ხელისუფლების სამივე შტოზე (იგულისხმება აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებები), არამედ ცალკეულ ინსტიტუციებზეც. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიამ, მმართველობის 11-წლიან პერიოდში, მოახერხა კონტროლი დაემყარებინა და ძალაუფლების ერთიან ვერტიკალში მოექცია, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი ინსტიტუცია და ის არაფორმალური მმართველის, ბიძინა ივანიშვილის, პირად ინტერესებსა და სურვილებს დაუქვემდებარა.

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების მიტაცება და კონსოლიდაცია ბიძინა ივანიშვილმა საკვანძო თანამდებობებზე იმ პირთა დანიშვნებით დაიწყო, რომლებიც არა იმდენად პროფესიული კვალიფიკაციით, რამდენადაც წარსულში მის მიმართ ერთგულებით გამოირჩეოდნენ ან/და მის კომპანიებში მუშაობდნენ. ამგვარად, სტრატეგიულად მნიშვნელოვან თანამდებობებზე აღმოჩნდნენ ივანიშვილის ახლო გარემოცვის წევრები (მაგ.: ირაკლი ღარიბაშვილი, ოთარ ფარცხალაძე, შალვა თადუმაძე, ანზორ ჩუბინიძე, გრიგოლ ლილუაშვილი და სხვები¹). ბიძინა ივანიშვილისთვის „აქტიური პოლიტიკიდან“ წასვლა არასოდეს გამხდარა დამბრკოლებელი ფაქტორი, რომ მომავალში საკვანძო ფიგურების თანამდებობაზე დანიშვნა-გადაყენების საკითხებზე ერთპიროვნული გადაწყვეტილებები მიეღო. ის დღემდე რჩება გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პერსონად და ამაზე მმართველი გუნდის ლიდერთა არაერთი განცხადება მიუთითებს².

მმართველობის საწყის ეტაპზევე, ივანიშვილმა მიზანში პროკურატურა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამოიღო, ვინაიდან ამ ორი ინსტიტუციის დამორჩილება მძლავრი ინსტრუმენტია ხელისუფლების სრული მიტაცებისა და კონსოლიდაციის პროცესში. ამ მიზნით, 2013 წელს მთავარი პროკურორის თანამდებობა დაიკავა ივანიშვილის ოჯახთან დაახლოებულმა პირმა ოთარ ფარცხალაძემ, რომელსაც მალევე თანამდებობის დატოვება მოუწია (მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ იგი გერმანიაში ქურდობის ფაქტზე იყო ნასამართლევ³). მიუხედავად იმისა, რომ ფარცხალაძე მთავარი პროკურორის თანამდებობას თვე-ნახევარი იკავებდა, არსებობდა ეჭვი, რომ ივანიშვილი მას იყენებდა არაფორმალური და კორუფციული გარიგებების გაფორმების პროცესში (საყურადღებოა, ომეგა ჯგუფისა და აუდიტის სამსახურის ყოფილი უფროსის, ლაშა თორდიას, ცემის საქმეები). 2023 წლის 14 სექტემბერს კი აშშ-მა საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს, რუს-ქართველ ოლიგარქად მოხსენიებულ ოთარ ფარცხალაძეს, რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან თანამშ-

1 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო; ივანიშვილის კომპანიები – თანამდებობის პირების საქმედლო; <https://www.transparency.ge/ge/blog/ivanishvilis-kompaniebi-tanamdebobis-pirebis-samchedlo> [24.01.2024].

2 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება 2020, 26 ივნისი, 2020, <https://bit.ly/3oF1BgK> [24.01.2024].

3 საქართველოს მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის, განცხადება; ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-mTavari-prokuroris-oTar-farcxalaZis-gancxadeba> [24.01.2024].

რომლობის გამო, სანქციები დაუწესა,⁴ რამაც კიდევ უფრო მეტად სარწმუნო გახადა თეზისი საქართველოს მზარდი ავტოკრატიზაციის შესახებ.

პროკურატურაზე კონტროლის შენარჩუნება ხელისუფლებამ გენერალური პროკურორის არჩევის ახალ წესზე უარის თქმითაც სცადა. ვინაიდან გენერალური პროკურორის თანამდებობაზე არჩევის გადაწყვეტილებას პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებდა, აღნიშნული წესი ხელისუფლებას ერთპარტიული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უმარტივებდა. ამ მიზნით, ხელისუფლებამ ანულირებული დატოვა და გვერდი აუარა 19 აპრილს პარტიებს შორის გაფორმებულ „შარლ მიშელის შეთანხმებას“⁵, რომელიც ხელისუფლებას გენერალური პროკურორის არჩევის წესის იმგვარად ცვლილებას სთავაზობდა, რომ პროკურორის ასარჩევად საჭირო გამხდარიყო პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები, რაც საშუალებას მისცემდა პარლამენტში მყოფ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ჩართულიყო და მხარი დაეჭირა გენერალური პროკურორის არჩევისთვის. წესის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესები (პირველი მოსმენით მიღების შემდეგ ამ ცვლილებების შეჩერება ხელისუფლების მიერ) და მმართველი პარტიის ლიდერთა განცხადებები თვალნათლივ მიუთითებს, რომ არაფორმალურ ლიდერს პროკურატურაზე სრული კონტროლის შენარჩუნება სურს.⁶ სწორედ ამიტომ, დღეს პროკურატურა, რომელიც კანონიერების, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვით უნდა ხელმძღვანელობდეს, არაფორმალური მმართველის ოპონენტთა დასასჯელ მექანიზმად (რაც მათ წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების წარმოებაში გამოიხატება) და ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათთან დაკავშირებული პირების დანაშაულებრივი საქმიანობის დასაფარავად გამოიყენება.


„წარმატებული“ ავტორიტარული პრაქტიკის თვალსაჩინო ნიმუშია არაფორმალური მმართველის სრული გავლენა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე. მოქალაქეების, ოპოზიციონერი პოლიტი-

4 Imposing Further Sanctions in Response to Russia's Illegal War Against Ukraine ; Fact Sheet, Office of the spokesperson, September 14, 2023 ; იხ., <https://www.state.gov/imposing-further-sanctions-in-response-to-russias-illegal-war-against-ukraine/>

5 სამომავლო გზა საქართველოსთვის; იხ., https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf

6 ირაკლი კობახიძე გენერალური პროკურორის არჩევის საკითხზე; იხ., <https://cutt.ly/ewLEebti> [24.01.2024].

კოსებისა და მათ შორის, დიპლომატების ფარული მიყურადებით, მოსმენებით,⁷ მათ შესახებ პერსონალური მონაცემების მოპოვებით, ავტორიტარი ინარჩუნებს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ქართულმა ოცნებამ საკუთარ ინტერესებზე მორგებული კანონმდებლობის მიღებით, მარტივად მოიპოვა გავლენა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე. ამ მხრივ, საყურადღებოა 2016 წლის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს



გადაწყვეტილება⁸, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რამაც კომუნიკაციის შეუზღუდავი მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობა გააჩინა. ამასთან, დადგინდა, რომ დაუშვებელი იყო ფარული მიყურადების შესაძლებლობა ჰქონოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რომელსაც თავისი საგამოძიებო ფუნქციიდან გამომდინარე, პროფესიული დაინტერესება ჰქონდა, მოეპოვებინა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები და მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც არათუ აწესრიგებდა ხარვეზებს, არამედ პირიქით, აძლიერებდა მმართველი პარტიის გავლენას და ეწინააღმდეგებოდა ევროდირექტივის (ქსელებისა და ინფორმაციული სისტემების (Network and Information Systems (NIS)) დირექტივა) ცალკეულ მოთხოვნებს.⁹ ხელისუფლებამ, დამტკიცებული ცვლილებებით, ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს მისცა შესაძლებლობა, ჰქონოდა პირდაპირი წვდომა საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების, ასევე, სატელეკომუნიკაციო სექტორის ინფორმაციულ სისტემებზე და არაპირდაპირი წვდომა სისტემებში დაცულ პერსონალურ და კომერციულ ინფორმაციაზე. სუს-ის ხელმძღვანელს კი მიეცა უფლებამოსილება, შეეჩერებინა სააგენტოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რამაც, თავის მხრივ, სახელმწიფო

7 იხ., არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება; <https://transparency.ge/ge/post/prokuratiris-gamozieba-ec-mosmenebis-sakmeze-epektianad-ar-mimdinareobs>. დიპლომატიური კორპუსის განცხადება; <https://twitter.com/CarlHartzellEU/status/1445033501535973383/photo/1> [24.01.2024].

8 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №21/1/625, 640 გადაწყვეტილება.

9 CDL-PI(2022)028-e Georgia – Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, issued on 26 August 2022 pursuant to Article 14a of the Venice Commission's Rules of Procedure

უსაფრთხოების სამსახურის მიერ სააგენტოზე სრული კონტროლის მოპოვების რისკი გაზარდა.

არაფორმალური მმართველის სურვილს, მიიტაცოს აღმასრულებელი ხელისუფლება, ვერ გადაურჩნენ ვერც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები (იგულისხმება ენერგეტიკისა და კომუნიკაციების კომისიები). 2019 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის პოსტი, ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში, თბილისის ყოფილმა მერმა დავით ნარმანიამ ჩაიბარა. 2023 წლის ნოემბერში კი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევები – განახლებადი სია“¹⁰; რომელშიც საუბარია ენერგეტიკის კომისიის ხელისუფლებისადმი ლოალურ განწყობასა და კომისიის თანამშრომლების სავარაუდო კორუფციულ საქმიანობაზე. ხელისუფლების მხრიდან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობა კი სახელმწიფოს მიტაცების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ მსგავსი სახის დანაშაულების აღკვეთაზე პასუხისმგებელი ორგანოები – გენერალური პროკურატურა და სუს-ი – არ დგამენ ქმედით ნაბიჯებს და ელიტარული კორუფციის შემთხვევებს გამოუძიებელს ტოვებენ.

რაც შეეხება კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობას, საყურადღებოა, რომ კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცესში უგულვებლყოფილი იქნა კანონმდებლობის მოთხოვნები¹¹ და თავმჯდომარის პოზიციაზე მესამე ვადით დაინიშნა კახა ბექაური, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა თანამდებობის დაკავებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა, მანამდე იკავებდა ბიძინა ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელევიზიის, „მეცხრე არხის“, დირექტორის პოზიციას. ბექაურსვე ეკუთვნის ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა ტელევიზიებისა და რადიოებისთვის დამატებითი რეგულაციების ამოქმედებას, რაც, რა თქმა უნდა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რეალურ საფრთხეს ქმნიდა.

კომისიის თავმჯდომარედ პარტიასთან და ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირის დანიშვნით, მარეგულირებელი კომისია „ქარ-

10 იბ., <https://transparency.ge/ge/blog/magali-donis-korupciis-savaraudo-shemtxevebi-ganaxlebadi-sia>[24.01.2024].

11 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2017 წლის 11 დეკემბრის ბლოგი; იბ. <https://transparency.ge/ge/blog/kaxa-bekauri-komunikaciebis-erovnuli-komisiis-cervistavmjdomaris-sakvalifikacio-motxovnebs-ver> [24.01.2024].

თული ოცნების“ რიტორიკის გამჟღერებლად იქცა, რომლის ფუნქციონირების მთავარი მიზანიც კრიტიკულად განწყობილი მედიების შევიწროება და მედიასივრცის კრიტიკული აზრისგან განმეინდაა – 2022 წლის 23 აგვისტოს კომისიამ „ქართული ოცნების“ სარჩელი დააკმაყოფილა და ეთერში „შინ ევროპისკენ“ კლიპის გაშვების გამო, სამ არხს: „მთავარ არხს“, „ფორმულას“ და „ტელეკომპანია პირველს“ სანქცია დაეკისრა [კომისიის გადაწყვეტილებით, „ფორმულა“ და „ტელეკომპანია პირველი“ გააფრთხილეს, „მთავარი არხი“ კი 118 689 ლარით დაჯარიმდა¹²].

როგორც უკვე ვახსენეთ, ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების მიტაცება და კონსოლიდაცია ყოველთვის დაკავშირებულია ელიტურ კორუფციასთან. შესაბამისად, ავტორიტარულ ან/და ჰიბრიდულ რეჟიმში მმართველ ძალას უწევს გააკონტროლოს ისეთი სამსახურებიც, რომელთა პირდაპირი მოვალეობა მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლაა. ვინაიდან საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაციიდან, ერთ-ერთს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის გაძლიერება წარმოადგენდა, მმართველი პარტიისთვის საჭირო გახდა ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა. მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებების მიღებისა, „ქართულმა ოცნებამ“ იპოვა გამოსავალი და ანტიკორუფციულ ბიუროს, ერთი მხრივ, არ მიანიჭა საგამოძიებო უფლებამოსილება და ის კვლავ პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილების ქვეშ დატოვა. მეორე მხრივ, ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობად აქცია.¹³ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ მოცემული მოწესრიგებით, ანტიკორუფციულ ბიუროს არ შესწევს ძალა, გაუმკლავდეს ელიტურ კორუფციას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებში შედის.

ძალაუფლების მიტაცების თვალსაჩინო მაგალითია უდიდესი გავლენის მოპოვება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე. „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად¹⁴, 2020 წლის

12 იხ. კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება; <https://cutt.ly/rwLEgozi> [24.01.2024].

13 საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; იხ., <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/317875>.

14 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნების“

საპარლამენტო არჩევნებში გამოიკვეთა მმართველი პარტიის სასარგებლოდ არაკანონიერი გზებით ამომრჩევლის ხმების მობილიზების მასშტაბური სქემა, რომლითაც დასტურდებოდა სახელმწიფო უწყებების გამოყენება საარჩევნო და პარტიული მიზნით. არჩევნების მანიპულაციის ტაქტიკების გამოყენებას კი რეალურად წინ უძღვოდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მმართველი პარტიის მიერ ცესკოს, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიის, მიტაცებას. ყურადღებას იმსახურებს ფაქტი, რომ ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის წესები, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შეტანილი არაერთი საკანონმდებლო ცვლილებით, იმდენად გაუარესდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ჩრდილოვანი მმართველობის 11 წლისთავზე, ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართული საზოგადოების წინაშე დისკრედიტირებულია, მნიშვნელოვნად გაუარესებულია მის მიმართ ნდობა საერთაშორისო საზოგადოების თვალშიც. საილუსტრაციოდ, შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების კანდიდატების არჩევის ძველი და ახალი წესები. საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებების შეტანამდე, ცესკოს თავმჯდომარისა და არაპარტიული წევრების ასარჩევად აუცილებელი იყო 100 დეპუტატის მხარდაჭერა, რაც ავტომატურად გულისხმობდა პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევას. მმართველ პარტიას დამოუკიდებლად, 76 ხმით, კანდიდატების მხოლოდ 6 თვით არჩევა შეეძლო, შემდეგ კი ისევ უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი. თუმცა მმართველმა პარტიამ, ახალი ცვლილებებით¹⁵, პრეზიდენტს ჩამოართვა ცესკოს კანდიდატების შესარჩევი კომისიის შექმნისა და შემდეგ სასურველი კანდიდატების საქართველოს პარლამენტში წარდგენის უფლება. ეს ფუნქცია დაეკისრა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც, ამავდროულად, მმართველი პარტიის წევრია. დღევანდელი მოცემულობით, კანდიდატების დასამტკიცებლად საკმარისია, 150 დეპუტატიდან, მხოლოდ 76-ის მხარდაჭერაც მაშინ, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობაში 84 დეპუტატია, რაც ხმების საჭირო რაოდენობაზე გაცილებით მეტია.

სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების აპრობირებული მეთოდები საქართველოში; იხ., <https://transparency.ge/ge/post/saxelmcpo-resursebi-mmartveli-partiis-samsaxurshi-amomrchevlis-mosqdivisa-da-ukanono> [24.01.2024].

15 იხ., <https://parliament.ge/media/news/tseskos-formirebis-tsesshi-tsvlilebebis-shesakhebianonproktebs-saprotseduro-sakitkhta-da-tsesebis-komitetma-mkhari-dauchira> [24.01.2024].

დრამატულად განვითარდა მოვლენები საქართველოს ეროვნული ბანკის ირგვლივაც. სებ-ის მიტაცების პროცესი კანონმდებლობის ცვლილებით დაიწყო მას შემდეგ, რაც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ ინიცირებული ცვლილებებით, შეიქმნა პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა. ქართული ოცნების მიერ შექმნილ თანამდებობაზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, ნათია თურნავას, დანიშვნას უშედეგოდ არ ჩაუვლია. არაფორმალური ლიდერის მიერ ძალაუფლების მიტაცებისა და კონსოლიდაციის პროცესში, სებ-ის დამორჩილების აუცილებლობა თვალსაჩინო გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან თანამშრომლობისთვის, ბიძინა ივანიშვილის ახლო გარემოცვის წევრისა და ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის დასაწესიერებისას. ნათია თურნავას გადაწყვეტილებით,¹⁶ მიეღო საგამონაკლისო წესი ოთარ ფარცხალაძის დასაცავად, ცხადი გახდა რომ დღეს, კანონზე მაღლა დგას ავტორიტარის მძაფრი სურვილი, რომ თუნდაც საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემის ჩამოქცევის ფასად, დაიმორჩილოს და მისი პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით გამოიყენოს სახელისუფლებო ძალაუფლება.

16 იბ., <https://civil.ge/ka/archives/560073>. [24.01.2024].

1.2 ანგარიშვალდებულების ახლებული კონსტიტუციური მექანიზმების საბოტაჟი და მოშლა


აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების მიტაცებისა და კონსოლიდაციის გზაზე, ნებისმიერი ავტორიტარისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ანგარიშვალდებულების კონსტიტუციური მექანიზმების საბოტაჟი და ჩამოშლა. ასეთ დროს, როგორც წესი, ავტორიტარი ცდილობს, აღმასრულებელ ხელისუფლებას გამოაცალოს შეკავებისა და განონასწორების დემოკრატიული მექანიზმები, რისთვისაც, პირველ რიგში, ასუსტებს საპარლამენტო ზედამხედველობას და თავს ესხმის სასამართლოს. ფაქტმა, რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ერთი კაცი – ბიძინა ივანიშვილი – იღებდა, წლების განმავლობაში დაასუსტა საპარლამენტო ზედამხედველობა და პარლამენტს, პრაქტიკულად, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები გამოაცალა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ვერ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა¹⁷, რამაც, თავის მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის რეალური განხორციელებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმი პრაქტიკაში ქმედუნარო გახადა. რაც შეეხება პარლამენტის ოპოზიციურ ნაწილს, მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე საპარლამენტო კონტროლის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესებისა, პრაქტიკაში მმართველმა პარტიამ ხელოვნური ბარიერები შეუქმნა ოპოზიციონერ დეპუტატებს¹⁸, რაზეც, მათ შორის, მეტყველებს ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტები, საგამოძიებო კომისიის შექმნასთან და მის ეფექტურ მუშაობასთან დაკავშირებული სირთულეები, მთავრობის წევრებისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულები სხვა თანამდებობის პირების არასათანადო და გულგრილი დამოკიდებულება პარლამენტის მიერ კონტროლის განხორციელების პროცესში და სხვ.

17 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო; საპარლამენტო კონტროლი საქართველოში; იხ., <https://transparency.ge/ge/post/saparlamento-kontroli-sakartveloshi>. [24.01.2024].

18 იქვე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმასრულებელი ხელისუფლების მითაცების პროცესში ავტორიტარისთვის აუცილებელია მოიპოვოს სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლი, ვინაიდან სხვაგვარად სასამართლო, თავის ხელთ არსებული უფლებამოსილებებით, აღმასრულებელი ხელისუფლების მომეტებული ძალაუფლების შეკავებას ეცდება. სწორედ ამიტომ, ავტორიტარები ცდილობენ, საერთო სასამართლოების სისტემაში მოიპოვონ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობები და ამასთანავე, კორუფციული გარიგებებით გავლენა ჰქონდეთ ცალკეულ მოსამართლეებზე და შესაბამისად, მათ მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე. საქართველოში სასამართლოს დამორჩილება დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად კორუფციაში მხილებული მოსამართლეების დანიშვნით, რომლებმაც, ხელისუფლების მიმართ ლოიალური განწყობით, მალევე შეძლეს საბჭოში გავლენის მოპოვება. მოგვიანებით კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების ზედმეტმა გაფართოებამ, არაფორმალურ მმართველს გაუადვილა ხელისუფლების მესამე შტოს მითაცება.

უკვე ათ წელზე მეტია, რაც სასამართლოზე კონტროლი ხორციელდება მოსამართლეთა ვინჩრო, მაგრამ გავლენიანი ჯგუფის მიერ. ეს ჯგუფი, რომელსაც დღეს საზოგადოება ე.წ „სასამართლო კლანის“ სახელით იცნობს, ხელისუფალს სასათბურე პირობებს უქმნის სასამართლოში კორუფციის, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების



მიღებისა და ამრიგად, ძალაუფლების ერთი კაცის ხელში კონცენტრაციის პროცესში. ამ მხრივ, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებთან ერთად, თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის

გადაწყვეტილება, დაესაჩქარებინა მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე, ირაკლი შენგელია და ვალერიან ტსერტსვაძე, მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო.¹⁹ აღნიშნულმა პირებმა, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, ბოროტად გამოიყენეს თავიანთი თანამდებობა, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითაც ზიანი მიაყენეს სამართლის უზენაესობასა

19 STATEMENT BY SECRETARY ANTONY J. BLINKEN: Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption; *ib.*, <https://ge.usembassy.gov/public-designations-of-four-individuals-associated-with-the-georgian-judiciary-due-to-involvement-in-significant-corruption/>

და საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ.²⁰ ცალსახაა, რომ დღეს არაფორმალური ლიდერის გავლენა სასამართლოზე იმდენად დიდია, რომ მიუხედავად სასამართლო რეფორმათა რამდენიმე ტალღის განხორციელებისა, სისტემურად სასამართლო კვლავ რჩება დისკრედიტირებული და მის მიმართ საზოგადოების ნდობა დღითიდღე უარესდება.

აქვე აღნიშვნის ღირსია საკონსტიტუციო სასამართლოზე კონტროლის მოპოვებისთვის გადადგმული ნაბიჯებიც, განსაკუთრებით, 2016 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა სრულად ამოქმედება, ფაქტობრივად, სასამართლოს პარალიზებას ნიშნავდა.²¹ საბედნიეროდ, ცვლილებათა ნაწილი თავად საკონსტიტუციო სასამართლოს იმდროინდელმა შემადგენლობამ არაკონსტიტუციურად ცნო.²² აღსანიშნავია, რომ ცვლილებებს წინ უსწრებდა იმდროინდელი იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის, კრიტიკა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო და გაფრთხილება, რომ ხელისუფლება სასამართლოს „გაჯანსაღებაზე“ იზრუნებდა.²³ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული წევრების არჩევა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.²⁴ შედეგად, ბოლო წლებში საკონსტიტუციო სასამართლომ, პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებში, ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ფუნქცია, დაეცვა კონსტიტუცია და მოსარჩელეთა უფლებები. მაგალითად, სასამართლომ არ შეაჩერა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებით ცვლილებების ამოქმედება და გააზრებულად შეუწყო ხელი ღონდა თოლორაიას კონსტიტუციური უფლებების დარღვევას.

საქართველოში ავტორიტარული პრაქტიკების კვლევისას, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თავდასხმა სახელმწიფო ინსპექტორსა და

20 იქვე,

21 იხ. ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნა ცვლილებებზე CDL-AD(2016)017-e Georgia – Opinion on the Amendments to the Organic Law on the Constitutional Court and to the Law on Constitutional Legal Proceedings, endorsed by the Venice Commission at its 107th Plenary Session (Venice, 10-11 June 2016)

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2016\)017-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2016)017-e), აგრეთვე კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება https://www.coalition.ge/index.php?article_id=80&clang=0

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

23 <https://kvira.ge/223150>

24 <https://netgazeti.ge/news/440558/> https://www.coalition.ge/index.php?article_id=244&clang=0

სახალხო დამცველზე, რაც ნაკარნახევი გახლდათ ავტორიტარებისათვის დამახასიათებელი ტაქტიკებით: არ დატოვონ არც ერთი ინსტიტუცია საკონტროლო მექანიზმების გარეშე და მინიმუმამდე დაიყვანონ ნებისმიერი სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი, რათა ჩანასახშივე მოსპონ მათი მხრიდან წინააღმდეგობის განწევის ნებისმიერი შესაძლებლობა. აღნიშნულ მიზეზებსზე უკავშირდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელმაც გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა და მის ნაცვლად შექმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.²⁵ მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ რეალობაში მსგავსი გადაწყვეტილება შესაძლოა მისასაღმებელიც კი ყოფილიყო, მმართველი ძალის მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა საეჭვოდ დაემთხვა სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებას, დაეჯარიმებინა იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური, საქართველოს მესამე პრეზიდენტის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროებისთვის.²⁶ მმართველი ძალის პოლიტიკური მოტივებისა და შურისძიების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების ეჭვს ამდაფრებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ამჟამინდელი საქმიანობაც – ბოლოდროინდელი საქმეები, მათ შორის, მიზა მშვილდაძის საქმის დახურვა,²⁷ მანიშნებელია, რომ სამსახური სათანადოდ არ იძიებს მმართველი პარტიის ოპონენტებზე ძალადობის ფაქტებს.

ყურადსაღებია პერსონალური მონაცემების შესახებ ახალი კანონი,²⁸ რომელიც, მიუხედავად კანონში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, მისი მოქმედების სფეროს კუთხით, არაერთი რისკის მატარებელია. კანონის კონკრეტული ნორმები, რომლებიც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების რეგულირებას უკავშირდება, საჯარო სტრუქტურის მხრიდან არაერთი თვითნებობის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა და ხელისუფლების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებისთვის სივრცეს ტოვებს.

25 იხ., <https://parliament.ge/media/news/parlamentma-sakhelmtsifo-inspektoris-samsakhuris-shesakheb-kanonshi-tsvilebebi-ganakhortsia>. [24.01.2024].

26 სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერების შესახებ; იხ., <https://personaldata.ge/ka/press/post/7757> [24.01.2024].

27 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება; იხ. <https://www.facebook.com/photo/?fbid=292197100106592&set=a.107516725241298> [24.01.2024].

28 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, იხ., <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/335493>.

დასასრულს, ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოავლინა ის სახიფათო სტრატეგიები, რომლებსაც მმართველი ძალა კარგად იყენებს აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და კონსოლიდაციისთვის. ეს ავტორიტარული ტაქტიკები, მათ შორის, საარჩევნო მანიპულირება, საკონსტიტუციო ცვლილებები, სასამართლოს კონტროლი, საკადრო დანიშვნები და სხვა, ძირს უთხრის დემოკრატიულ მმართველობას. ხელისუფალთა მიერ გამოყენებული მსგავსი ტაქტიკების სწორად იდენტიფიცირება კი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად. საზოგადოების სიფხიზლესთან ერთად, ავტორიტარული რეჟიმების პასუხისმგებისთვის მნიშვნელოვანი როლი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობას და მათი ჩართულობით დემოკრატიული მოძრაობების მხარდაჭერასაც, ვინაიდან დემოკრატიის დაცვა ყველგან და ყოველთვის მოითხოვდა და მოითხოვს კოლექტიურ მოქმედებას.

1.3 ძალაუფლებაში მყოფი დიდების მიუხედავად ძალაუფლებაში მუდმივად დაჩენის თვითუზრუნველყოფა, დემოკრატიული და კონსტიტუციური პირობების ბოლოვებამდე გამოყენების გზით (აღფოხმადუხი პიქტიკები)

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმების მთავარი საზრუნავი ძალაუფლებაში მუდმივად დაჩენის თვითუზრუნველყოფაა, რისთვისაც შესაძლებელია გამოიყენოს ის ინსტიტუციები, რომლებსაც დემოკრატიული ინსტიტუტების სახელით ვიცნობთ. მაშინ, როდესაც დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში დემოკრატიული და კონსტიტუციური პროცესების მთავარი მიზანი ხელისუფლების თვითნებობის შეზღუდვა და ძალაუფლების სათანადოდ დანაწილებაა, აღნიშნულ პროცესებს ავტორიტარი ლიდერები ბოროტად იყენებენ საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ქვემოთ კი განხილული იქნება ის არაფორმალური პრაქტიკები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება მიმართავს და რომლებიც ნათლად წარმოაჩენს დემოკრატიული და კონსტიტუციური პროცესების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს

1.3.1 საჯარო სექტორში დასაქმება სააჩვენო მობილიზაციის სანაცვლოდ

2013 წლიდან, ყოველწლიურად იზრდება საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რაც, შესაბამისად, იწვევს მათი ანაზღაურებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ზრდას. დაქირავებით დასაქმებულ მოსახლეობაში, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილმა 2021 წელს 36%-ს მიაღწია, რაც 2012 წლის შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.²⁹ ბიუროკრატიის ზრდის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ზრდის მაჩვენებელი. მაგალითად, 2020 წლის მონაცემებით, 35 მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 5%-ით გაიზარდა³⁰. ასევე 5%-ით არის გაზრდილი იგივე მონაცემი 2022 წლის მდგომარეობით³¹. ამასთანავე, ყოველწლიურად

29 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საჯარო სექტორში ხელფასების ზრდა და ბიუროკრატია, 2022, გვ, 4, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/dbjs2>.

30 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებული თანამშრომლები და შრომის ანაზღაურების ხარჯები, 2021, გვ, 4, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/rubic>

31 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საჯარო სექტორში ხელფა-

იზრდება სამინისტროებსა და სსიპ-ებში შტატგარეშე მომუშავე პირთა რაოდენობა და მათ ანაზღაურებაზე განეული ხარჯები. 2019 წლის მონაცემებით, საჯარო სექტორში შტატგარეშეთა ანაზღაურებაზე განეული ხარჯები, ყოველწლიურად, საშუალოდ, 12%-ით იზრდება, რაც დაახლოებით 3-ჯერ აღემატება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს³². საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა იწვევს მოსახლეობის ბიუჯეტზე დამოკიდებულების ზრდას, რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა საარჩევნო მობილიზაციას რეპრეზენტებისა და ზენოლის მეშვეობით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს, მობილიზაციისა და მხარდაჭერის სანაცვლოდ, მხარდაჭერებს საჯარო სექტორში დასაქმება შესთავაზოს. სახელმწიფოს მიერ საარჩევნო მობილიზაციის სანაცვლოდ საჯარო სექტორში დასაქმება განსაკუთრებით მარტივია სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში შტატგარეშე შრომითი ხელშეკრულებით. საჯარო მოხელეებისგან განსხვავებით, ხელშეკრულებით დასაქმების შემთხვევაში, მოქმედებს მარტივი შესარჩევი პროცესი. შრომითი ხელშეკრულებით მიღებისთვის ცხადდება გამარტივებული კონკურსი და გადაწყვეტილებაც, უფლებამოსილი პირის მიერ, მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე მიიღება³³. საჯარო სექტორში, განსაკუთრებით, სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირთა საარჩევნო მიზნებისთვის მობილიზაციის მაგალითია მამხილებლის – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, იოსებ გოგაშვილის, მიერ გასაჯაროებული დოკუმენტაცია (შემდეგში – „გოგაშვილის ფაილები“). მაგალითად, აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სისტემური ხასიათი ჰქონდა საჯარო სკოლების დირექტორების შეფასებას პოლიტიკური მიზანშეწონილობის კუთხით, რაც, საბოლოოდ, მათი თანამდებობაზე დარჩენის ან გათავისუფლების საფუძველი ხდებოდა. 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, 6-წლიანი უფლებამოსილების ვადა გაუვიდა 1003 დირექტორს, მათგან 891 დირექტორი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, დანარჩენი კი გათავისუფლდა თანამდებობიდან. მამხილებლის მიერ გასაჯაროებულ დოკუმენტებში 112-იდან 95 დირექტორზე რესურსცენტრს და სუს-ს გაკეთებული ჰქონდა უარყოფითი შეფასება, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ სუს-ისა და მმართველობის

სების ზრდა და ბიუროკრატია, 2022, გვ, 4, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/dbjs2>.


32 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სამინისტროებსა და სსიპ-ებში ხელშეკრულებით დასაქმების პრაქტიკა, 2022, გვ 4, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/h3sdj>

33 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საჯარო სექტორში ხელფასების ზრდა და ბიუროკრატია, 2022, გვ, 14, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/dbjs2>.

ველი პარტიის შეფასებებს დირექტორების გათავისუფლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა³⁴.

საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა წინასაარჩევნოდ მასობრივად მობილიზაციის მაგალითია, ასევე, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ა(ა)იპ-ების დირექტორებისა და მათი თანამშრომლებისთვის სალომე ზურაბიშვილის პოტენციურ მხარდამჭერთა სიების შედგენისა და მმართველი პარტიისთვის გაგზავნის დავალება.³⁵

საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე წინასაარჩევნო პერიოდში ზეწოლის მაგალითია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტსა და სხვა რეგიონების მუნიციპალიტეტებში ე.წ სოფლის გამგებლის პოზიციის მუნიციპალიტეტების საშტატო ნუსხიდან ამოღება და მათი შრომით ხელშეკრულებაზე გადაყვანა. აღნიშნული ცვლილება, უშუალოდ სოფლის გამგებლების მიერ, უარყოფითად შეფასდა, რადგან მათი მოსაზრებით, შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება დამოკიდებული იქნებოდა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი პარტიის მიერ კონკრეტულ სოფლებში ნაჩვენებ შედეგებზე და არა მათზე დაკისრებული საჯარო ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებაზე³⁶.



საჯარო სექტორში, განსაკუთრებით, სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდა და წინასაარჩევნოდ საჯარო მოხელეების მობილიზებისა და ზეწოლის შემთხვევები მიუთითებს, რომ ხელისუფლება ბიუჯეტის დაფინანსებით შექმნილ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ადამიანებს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს, სანაცვლოდ კი საჯარო სექტორში დარჩენის გარანტიებს ან ახალ სამუშაო ადგილებს სთავაზობს.

34 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზაციის აპრობირებული მეთოდები საქართველოში, 2022, გვ 41, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/xlszi>

35 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, 2018, გვ. 25, ხელმისაწვდომია: <https://t.ly/Tg0w7>

36 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საქართველოში, 2017, გვ 13, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/Ogg7r>

1.3.2 ჰეპხესიული ინსტიტუტების გამოყენებაზე უახი სააჩვენო მობილიზაციის სანაცვლოდ

მმართველი პარტიის მიერ წინასაარჩევნოდ ხშირია რეპრესიული ინსტრუმენტების გამოყენებაზე უარი, საარჩევნო მობილიზაციის სანაცვლოდ, რაც ეწინააღმდეგება სამართლის უზენაესობის, თანასწორი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს პრინციპებს.

აღნიშნული გულისხმობს ხელისუფლების მიერ მსჯავრდებულები-სათვის (პრობაციონერებისთვის) პირობითი მსჯავრის მოხსნას, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას, სატრანსპორტო საშუალების შეჩერებული ან ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენას, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან ბრალდების შემსუბუქებას, სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესებას, წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადებასა და სხვა უკანონო შემთხვევებს. ყოველივე ამას ადასტურებს 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ცნობილი გახდა „გოგაშვილის ფაილების“ მეშვეობით.

აღნიშნული შემთხვევების საილუსტრაციო მაგალითია 2018 წელს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პირობითი მსჯავრის გაუქმების სტატისტიკა, რომელიც თვეში შეადგენდა, საშუალოდ, 40 შემთხვევას, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე და მის შემდგომ, პირობითი მსჯავრი 3000-ზე მეტ პირს გაუუქმდა³⁷. ამასთან, მუდმივმოქმედი კომისია 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 13-ჯერ შეიკრიბა მაშინ, როდესაც, მანამდე, თვეში ერთხელ იკრიბებოდა³⁸. გარდა ამისა, მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2018 წლის ნოემბრამდე მართვის უფლების აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილებების რიცხვი, თვეების მიხედვით, 50-ს არ აღემატებოდა, ხოლო ნოემბრის თვეში აღნიშნული შემთხვევების რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა.³⁹ ამას ადასტურებს კრიტიკული მედიების მიერ „გოგაშვილის ფაილებზე“ მომზადებული სიუჟეტებიც:

37 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოხიფდვისა და უკანონო მობილიზაციის აპრობირებული მეთოდები საქართველოში, 2022, გვ 18, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/xlszi>

38 იქვე, გვ. 19.

39 იქვე, გვ. 27.

„ტვ პირველის“ რეპორტაჟში ერთ-ერთმა პირმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ მას ნამდვილად გაუუქმეს საპატრულო პოლიციის მიერ დაკისრებული ჯარიმა⁴⁰, ასევე ტელეკომპანია „მთავარი არხის“ სიუჟეტში მოქალაქემ დაადასტურა არჩევნებზე მხარდაჭერის სანაცვლოდ სასჯელის შემსუბუქება⁴¹, ხოლო ტელეკომპანია „ფორმულის“ მიერ მომზადებულ რეპორტაჟში ერთ-ერთი პირის ოჯახის წევრმა დაადასტურა პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, საგადასახადო დავალიანების გაუქმების ფაქტი⁴².

დამატებით, აღსანიშნავია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სამი თვით ადრე ხელისუფლების მიერ კორონავირუსის პრევენციისათვის შემოღებული შეზღუდვების – იზოლაციის, კარანტინისა და პირბადის ტარების წესების დარღვევის გამო, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დაკისრებული 76 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმისგან გათავისუფლების ფაქტიც⁴³. მსგავსი პრაქტიკა დაფიქსირდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდეც, როდესაც, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, 42,000 ფერმერს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ 2012-2019 წლებში დაგროვებული 8,000,000 ლარამდე ოდენობის დავალიანება სრულად ჩამოენერა.⁴⁴

40 “ნოდარ მელაძის შაბათი”, „ტვ პირველი“, 22.10.2021, <https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/574496877191500>, 12:55 წთ.

41 “როგორ იყენებს „ოცნება“ ადამიანებს და რა გზებით აგროვებს ხმებს”, „მთავარი არხი“, 7.10.2021, <https://www.facebook.com/watch/?v=861357581223802>

42 5 ტელეკომპანია „ფორმულა“, 7.11.2021, <https://www.facebook.com/watch/?v=4386605308122452>

43 სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, 2021, გვ. 44, ხელმისაწვდომია: <https://t.ly/l9COj>

44 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის, 2020, გვ. 42, ხელმისაწვდომია: <https://t.ly/3uVR3>

1.3.3 **ხეჯითან დაკავშირებული ბიზნესების გამოყენება საარჩევნო მობილიზაციისთვის**

მმართველი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩატარებულ ყველა არჩევნებზე სახეზეა ხელისუფლებასთან დაკავშირებული ბიზნესების მობილიზების პრაქტიკა საარჩევნო მიზნებისთვის. აღნიშნული გულისხმობს მმართველი პარტიის მსხვილ შემომწირველთა შორის ისეთი პირების ყოფნას, რომელთა კომპანიები სახელმწიფო შესყიდვების მსხვილ კონტრაქტებსა და სხვა სახელმწიფო პროგრამებიდან სოლიდურ დაფინანსებებს იღებენ.

მაგალითად, მმართველი პარტიის შემომწირველმა იურიდიულმა პირებმა და შემომწირველ ფიზიკურ პირებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2021 წელს, ჯამში, დაახლოებით 320 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერები მოიგეს და 19 მილიონი ლარის გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტები მიიღეს. ამ კომპანიებმა და მათთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა შემომწირველებმა, იმავე პერიოდში, დაახლოებით 4.5 მილიონი ლარი შესწირეს მმართველ პარტიას⁴⁵. შეგვიძლია განვიხილოთ შპს „ბორანის“ მაგალითი, რომელმაც 2013 წლიდან 2022 წლამდე დაახლოებით 35 მილიონის ღირებულების ტენდერები და გამარტივებული შესყიდვები მიიღო, ხოლო 2017 და 2020 წლებში კომპანიის მენილეებმა მმართველ პარტიას, ჯამში, 90,000 ლარი შესწირეს⁴⁶.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევის თანახმად, წლების განმავლობაში, მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომლებიც, თითქმის ყოველ წელს, ქართულ ოცნებას დიდი თანხებით აფინანსებს. მათი შეფასებით, ეს ჯგუფები ერთსა და იმავე დღეს ან რამდენიმე დღის შუალედში სწირავენ მმართველ პარტიას თანხას, რაც აჩენს ეჭვებს, რომ აღნიშნული კოლექტიური ქმედება შესაძლოა ვინმე სხვა პირის მიერ იყოს ორგანიზებული, რაც ქართული საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია⁴⁷.



45 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2021 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, 2022, ხელმისაწვდომია <https://t.ly/3orsu>

46 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, იმერეთში ტენდერებს „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია იგებს, 2022, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/62nf0>

47 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების

ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენების მიერ ტენდერებისა და სახელმწიფო შესყიდვების მიღება და შემდგომში, წინასაარჩევნოდ, ქართული ოცნების დაფინანსება აჩენს დასაბუთებულ ვარაუდს შესაძლო კორუფციულ სქემასთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლებაში მყოფ პარტიას, კონკურენტებთან მიმართებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს და არღვევს სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს პრინციპებს.

გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის, 2020, გვ. 6,
ხელმისაწვდომია: <https://t.ly/3uVR3>

1.3.4 სააჩრევნო ხმის პიხდაპიხი ყიდვის პრაქტიკები

ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მმართველი პარტიის მიერ პრაქტიკად არის ჩამოყალიბებული ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევები. ამომრჩევლის მოსყიდვის პრაქტიკა აჩვენებს, რომ იგი მოიცავს როგორც უშუალოდ ფულადი თუ არაფულადი გზით საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის მოსყიდვას, ისე სახელმწიფო პროექტების, სოციალური პროგრამებისა და საქველმოქმედო აქციების სახით, ამომრჩეველთა გულის მოგების ინიციატივებს.

ასეთ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ 2013 წლის სექტემბერში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილება აბიტურიენტთა მეორადი ჩარიცხვის შესახებ. კერძოდ, 11-13 სექტემბერს ყველა აბიტურიენტს, რომლებმაც ოთხ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახეს და სტუდენტები ვერ გახდნენ, შესაძლებლობა მიეცათ, ხელახლა გაევილოთ რეგისტრაცია და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულიყვნენ.⁴⁸

ამომრჩეველთა უპრეცედენტო მასშტაბის მოსყიდვის მაგალითია 2018 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ინიციატივა ვალების ჩამოწერის შესახებ. კერძოდ, პრემიერის თქმით, 600,000 მოქალაქეს ჩამოეწერა ფინანსურ ვალდებულებებზე, ბანკების, ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებისა თუ სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის მიმართ არსებული ვალი, რომელმაც, ჯამში, დაახლოებით მილიარდ-ნახევარი ლარი შეადგინა⁴⁹. ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის განცხადებით, ე.წ შავ სიაში მყოფი 600,000 ადამიანის ვალის სრულად დაფარვას ფონდი „ქართუ“ უზრუნველყოფდა⁵⁰.

48 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, 2013, გვ. 10, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/t1q2l>

49 საია, ISFED, TI, ვალების ჩამოწერის ინიციატივა ამომრჩეველთა უპრეცედენტო მასშტაბის შესაძლო მოსყიდვას წარმოადგენს, 2018, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/d7woi>

50 On.ge, ფინანსთა მინისტრი: 600000 ადამიანის საბანკო ვალის ტვირთი ქართუ ჯგუფმა იკისრა, 19.11.2018, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/m33n2>

ამომრჩეველთა აზრზე მანიპულირების შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის მიერ 2023 წლის 15 სექტემბრის განცხადება, ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებული 30,000-მდე სტუდენტისთვის გაენულებინა არსებული დავალიანება, რომლის ჯამური მოცულობაც 40 მილიონ ლარამდეა⁵¹. მართალია, აღნიშნული დაპირება კანონმდებლობით გათვალისწინებულ წინასაარჩევნო პერიოდში არ გაცემულა, თუმცა, პრემიერ-მინისტრის შესაძლო კორუფციული ქმედებისა⁵² და ყოფილ გენერალურ პროკურორ ოთარ ფარცხალაძის აშშ-ის მიერ დასაწესიერებიდან მეორე დღეს, მსგავსი განცხადება მიზნად ისახავდა საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობას და მის მანიპულირებას⁵³.

51 საქართველოს მთავრობის ოფიციალური Facebook-ანგარიში:
საქართველოს მთავრობა | Facebook

52 ნოდარ მელაძის შაბათის ჟურნალისტური გამოძიება: *ღაჩიბაშვიდი ამეხიკაში დასასვენებლად სამთავრობო თვითმფრინავით წავიდა – ჟუჰნაღისგუჩი გამოძიება – YouTube*

53 Civil.ge, აშშ-მა ოთარ ფარცხალაძეს სანქციები დაუნესა, 2023 წელი, 14 სექტემბერი:
Civil Georgia | აშშ-მა ოთარ ფარცხალაძეს სანქციები დაუნესა

2. არაკლიბერალური პრაქტიკები

2.1. ინდივიდუალური ავტონომიისა და ღიხების ხელყოფა და ძალაუფლებაზე დამოკიდებულების გაზიარება

2.1.1 მასობრივი უკანონო თვადთვადი და მიყუხადება

ავტოკრატიზაციის პირობებში პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელი ძალაუფლების შენარჩუნებისა და გაფართოების ტენდენცია ორგანულად უკავშირდება საზოგადოებრივი პროცესების სისტემური კონტროლის მოთხოვნილებას. საზოგადოებრივი პროცესების ეფექტურად კონტროლი კი ავტორიტარული პოლიტიკური სისტემისადმი მიმართული ყველა შესაძლო საფრთხისა და აქტორის წინასწარ იდენტიფიკაციას გულისხმობს. ციფრული ეპოქა ტოტალური მოსმენა-მიყურადებისთვის უნიკალურ და მასშტაბურ ტექნიკურ შესაძლებლობებს იძლევა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კონსტიტუციური უფლებების შელახვის საფრთხეს. ეს საფრთხე ცალსახად რეალიზდა საქართველოს კონტექსტში:

2021 წლის 13 სექტემბერს მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2013-2021 წლებში წარმოებული მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ. საქმე ეხება 58 000-მდე ფაილს, რომლებშიც თავმოყრილია ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების, დიპლომატების, სამოქალაქო აქტივისტებისა და სხვა პირთა კერძო კომუნიკაციისა და პირადი ცხოვრების შესახებ დამუშავებული და შენახულ ინფორმაცია. ფაილებში არსებული ინფორმაციის ავთენტურობა დაადასტურეს პირებმა, რომლებიც გაეცნენ მათთან დაკავშირებულ კრებსებს. გავრცელებული მასალების მოცულობიდან, ხასიათიდან და შინაარსიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის სისტემური დანაშაული.⁵⁴

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სპეციალური დანიშნულების ორგანოა,

⁵⁴ Formulanews.ge-ზე: „გაეხცედა საიდუმლო ფაილები – სავაჩუფოც, სუს-ი მღვედემთავრებს უსმენს“ 13 სექტემბერი 2021,

რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსილია, პირებზე განახორციელოს ფარული მოსმენა-მიყურადება და თვალთვალი მხოლოდ ორი სამართლებრივი საფუძვლით: 1. კონკრეტული დანაშაულის გამოძიება⁵⁵; 2. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ეფექტურად განხორციელება.⁵⁶ გავრცელებული ჩანაწერების შინაარსიდან და მათში იდენტიფიცირებული სუბიექტებიდან გამომდინარე კი, ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ფარული მოსმენა-მიყურადება კანონით დაცული საჯარო ინტერესების მიღმა, პოლიტიკური მოტივით განახორციელა. პოლიტიკური ოპონენტების ჩამოშორება, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირთა სამოქმედო სქემის განსაზღვრა, საჯარო პირების მიმართ კომპრომატების არსებობა არასრული ჩამონათვალია იმ მოტივებისა, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ქმედებების მამოტივირებლად იკვეთება.

ამასთანავე, ფარული მოსმენა-მიყურადებისა და თვალთვალის მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვისთვის ადეკვატურ სამართლებრივ გარანტიებს და ქმნის სამსახურის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მომეტებულ საფრთხეებს. კერძოდ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის მომწესრიგებელი კანონი არ ითვალისწინებს იმ კონკრეტულ დანაშაულთა ჩამონათვალს, რომელთა დაკავშირებითაც შესაძლებელია ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გამოყენება. ამასთან, კანონი არ განმარტავს სახელმწიფო უსაფრთხოების ცნებას და არ აკონკრეტებს, თუ რა ტიპის საფრთხეზეა საუბარი. ასევე, ბუნდოვანია იმ სუბიექტთა წრის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რომლებიც ჩაითვლებიან საფრთხის შემცველად. კანონი არ ადგენს არც თვალთვალის დასაწყებად საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც, ალტერნატიული სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის დადგენილი. ელექტრონული თვალთვალის განხორციელების თავდაპირველი ნებართვა გაიცემა იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა. ამ ვადის შემდგომი გაგრძელება შესაძლებელია განუსაზღვრელად, თითოეულ ჯერზე არა უმეტეს 12 თვით.⁵⁷

55 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVII თავი

56 “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლი

57 “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი

ასევე, სამსახური უფლებამოსილია, ელექტრონული კავშირის ერთ-ერთი მონაწილე მხარის წერილობითი თანხმობით, განახორციელოს ელექტრონული თვალთვალი, რომელიც მიმართულია კონტრდაზვერვითი ინფორმაციის მოპოვებისკენ. ასეთ შემთხვევაში, თვალთვალი ხორციელდება სასამართლოს გვერდის ავლით, რაც ქმნის პირის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის შესაძლებლობას. ურთიერთობაში მონაწილე პირმა შესაძლოა თანხმობა განაცხადოს საკუთარი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, თუმცა მხოლოდ კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის საფუძველზე ელექტრონული თვალთვალის განხორციელება სხვა პირებზე, მათი ფუნდამენტური უფლებების გაუმართლებლად შელახვას გულისხმობს.⁵⁸

საზგასახმელია, რომ ამ დრომდე სამართალდამცავ ორგანოებს არ გამოუვლენიათ და პასუხისგებაში არ მიუციათ დამნაშავე პირები. მეტიც, საწყის ეტაპზე პრობლემური იყო დაზარალებულის სტატუსის მინიჭება იმ პირთათვის, რომელთა პირადი ცხოვრების უფლებაც შეილახა კრებსების არსებობითა და გამჟღავნებით. სახელმწიფომ დაზარალებულის სტატუსის გაცემა აღნიშნულ საქმეზე დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამოქალაქო სექტორმა დააანონსა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოება.

სახელმწიფოს ინერტულობა, აწარმოოს ეფექტიანი საგამოძიებო მოქმედებები აღნიშნულ საქმეზე, კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოების დასაბუთებულ ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ 2013-2021 წლებში სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოებული მასობრივი მოსმენა-მიყურადება უკავშირდება მოქმედი პოლიტიკური ძალის სტრატეგიულ მიზანს – გაამყაროს სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლება არაფორმალური, კანონსაწინააღმდეგო ზომებითაც კი.

58 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *ფაჩული მიყუჩადება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფაჩვებში (ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩაჩჩოს ანაღიზი)* 2021, გვ17.

2.1.2 გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მედია-კონტროლი, ჟურნალისტების დევნა და ჩეხხეხიები

სახელმწიფოს ავტოკრატიზაციის პროცესის თვალსაჩინო ინდიკატორია გამოხატვის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის მზარდი პრაქტიკა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების/ჟურნალისტების დევნა. ავტორიტარული მმართველობა მიისწრაფვის საზოგადოებაში ინფორმაციული ვაკუუმის შექმნისკენ, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ცენტრალიზებული სოციალური კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისთვის.

მმართველი პოლიტიკური ძალის ნება, შეამციროს გამოხატვის თავისუფლებით დაცული უფლებრივი სფერო, ვლინდება არა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივებსა და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, არამედ უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართულ საჯარო განცხადებებში.⁵⁹

მაგალითად, 2022 წლის 25 ივლისს „მთავარი არხის“ ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე ირაკლი კობახიძის კომენტარი: „ქალი აღარ ხარ რა... ქალის სახე დაკარგე... რომ ლაპარაკობ, პირი მოიწმინდე... სააკაშვილივით გაქვს პირი, დაემსგავსე ყველაფრით შენს ბელადს. სააკაშვილს ჰგავხარ პირითაც“⁶⁰. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებისგან მსგავსი განცხადებები ცალსახად უწყობს ხელს საზოგადოებაში ჟურნალისტების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასა და აგრესიას.

2013 წელს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტი განიხილავდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების საკითხს⁶¹, რაც ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო დონეზე გამოხატვის თავისუფლების თვითნებურად შეზღუდვის მცდელობის ერთ-ერთი მაგალითია. ყველასთვის იმთავითვე თვალსაჩინო იყო, რომ კანონპროექტი არსებითად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციურ თუ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, თუმცა აღნიშნული

59 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *ადამიანის უფლებები საქართველოში*, 2022 წ., თავი 1.3.

60 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *ადამიანის უფლებები საქართველოში*, 2022 წ., თავი 1.3.

61 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *გამოხატვის თავისუფლება საქართველოში*, 2020 წ., გვ. 9

საკითხის პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილად ქცევა საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილი ჯგუფების სიმპათიების მოპოვებას ემსახურებოდა.

ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, პრესის თავისუფლების ხარისხი საქართველოში 2021-2022 წლებში უპრეცედენტოდ გაუარესდა – პრესის თავისუფლების ინდექსის მსოფლიო რეიტინგში საქართველომ მე-60 ადგილიდან 89-ე ადგილზე გადაინაცვლა.

სახელმწიფოს მხრიდან მედიასაშუალებების წინააღმდეგ გატარებული რეპრესიული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა სისხლის სამართლის საქმეები ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიამენეჯერებისა და დამფუძნებლების წინააღმდეგ.⁶² ამ ნაწილში, ხაზგასმას იმსახურებს როგორც პროკურატურის მიერ უკიდურესად კონტრავერსიული საფუძვლით აღძრული საქმეები, ისე სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დასაბუთებულობის დაბალი ხარისხით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავარი არხის ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას, საქმე, რომლის ფარგლებშიც, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ბრალდებების უმეტესობა ნიკა გვარამიას მხრიდან 2015 წელს მიღებულ მენეჯერულ გადაწყვეტილებას უკავშირდება. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ნიკა გვარამიას მიერ მიღებულ მენეჯერულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, არათუ სისხლისსამართლებრივი, არამედ კერძო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების არსებობაც კი სადავოა.⁶³

სახალხო დამცველის შეფასებით, დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, ვინაიდან მის დაპატიმრებას არ გააჩნდა დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველი და იყო პოლიტიკურად მოტივირებული⁶⁴

62 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *Report on Media Freedom in Georgia as a submission for the thematic report of the Special Rapporteur on freedom of opinion and expression and sustainable development*, 2023, გვ 3

63 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, *ნიკა გვარამიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის შეფასება*, 2021

64 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *Report on Media Freedom in Georgia as a submission for the thematic report of the Special Rapporteur on freedom of opinion and expression and sustainable development*, 2023, გვ4

პოლიტიკური მოტივით მედიაშეზღვევების წინააღმდეგ რეპრესიული სამართლებრივი ინსტრუმენტების ამოქმედებიდან მომდინარე ნეგატიური ეფექტები მიემართება არა მხოლოდ მედიაშეზღვევებს, არამედ საზოგადოებაში კრიტიკული აზრის ჩახშობას. საჯარო უფლებამოსილების მსგავსი ფორმით განხორციელება ქმნის ერთგვარ „მსუსხავ ეფექტს“, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსალოდნელი სანქციის შიშით, პირები თავს იკავებენ ხელისუფლების წინააღმდეგ მწვავე განცხადებების გაკეთებისგან.

უკანასკნელ წლებში, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, საქართველოს ავტოკრატიზაციის პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა სტრატეგიული სარჩელები საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (SLAPP)

SLAPP-ი არის პოლიტიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით გავლენიანი პირების მიერ აღძრული აშკარად უსაფუძვლო სარჩელები (ცილისწამების შესახებ), რომელთა მიზანია არა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა, არამედ აქტიური მოქალაქეების გაჩუმება და მათთვის ფინანსური ბარიერების შექმნა.

დავების დაახლოებით 31,5% ინიცირებულია ქალაქის მერების მიერ; 13% – დეპუტატების მიერ; 13% – მინისტრების/სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელების მიერ; 8% – პოლიციელების მიერ; 26% – „ქართულ ოცნებასთან“ სავარაუდოდ დაახლოებული პირების/ინსტიტუტების მიერ.

საყურადღებოა, რომ SLAPP-სარჩელები მიმართულია სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებრივი კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტების წინააღმდეგ. ამდენად, ხშირ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარედ გვევლინებიან ისეთი პირები, რომლებიც ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის, ე.წ. watchdog-ფუნქციას ასრულებენ. ასეთები კი, ძირითადად, მედია და მისი წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სამოქალაქო აქტივისტები და ორგანიზაციები არიან.⁶⁵

მედიის თავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის კონტექსტში, ნიშანდობლივია მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ უფლებამოსილების განხორ-

65 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *საქართველოში SLAPP საქმეების შესახებ* 2023 წ.

ციელების ფარგლებში გამოკვეთილი გადაცდომები და ნეგატიური ტენდენციები, კომისიის გადაწყვეტილებები მაუწყებლების დაჯარიმების ან სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, არ აკმაყოფილებს დასაბუთების გონივრულ სტანდარტებს და ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ პრაქტიკას.⁶⁶


განსაკუთრებით შემაშფოთებელია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობა უხამსობის რეგულირების უფლებამოსილების მითვისებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ უხამსობის კონტროლი 2023 წლის ოქტომბრამდე მაუწყებელთა თვითრეგულირების სფეროს მიეკუთვნებოდა, მარეგულირებელმა კომისიამ, წინარე პერიოდში, თავად, თვითნებურად, დაიწყო მსგავსი შინაარსის პროგრამების აქტიური რეგულირება.

კომისია, უხამსი პროგრამების რეგულირებისას, აპელირებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლის ფარგლებშიც, სასამართლო არაკონსტიტუციურად მიიჩნევს სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვას, ხოლო მას არც ერთ ნაწილში, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ მიუთითებია იმაზე, რომ ასეთივე უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს მესამე პირს, ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი მოსარჩელის გარეშე, თავად გადაწყვეტს, რომ კონკრეტული პროგრამა ლახავს ვინმეს ინტერესებს და შეიცავს უხამსობას. მსგავსი უფლებამოსილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2023 წლის ოქტომბრის ცვლილებებამდე თვითნებურად დაიდგინა.

66 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2021-2022, მედიის თავისუფლება საქართველოში <https://bit.ly/49APpDh>

2.1.3 შეკრების თავისუფლებისა და საზოგადოებრივი მოტივაციის შეზღუდვა

სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება ორგანულად არის დაკავშირებული საზოგადოების მხრიდან შეკრება-მანიფესტაციის უფლებით სათანადოდ სარგებლობასთან. სახელმწიფოს ავტორიტეტის პროცესში, ხელისუფლება ოპერირებს რა ძალაუფლების შენარჩუნებისა თუ მისი გაფართოების დღის წესრიგით, იგი ხშირად დგება შეკრება-მანიფესტაციის უფლების არაჯეროვანი შეზღუდვის აუცილებლობის წინაშე. ეს აუცილებლობა შეიძლება ორ კატეგორიად დავაჯგუფოთ: 1. შემთხვევათა ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეები მწვავედ აპროტესტებენ მმართველ პოლიტიკურ ძალას პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხებზე, ხოლო მმართველი ძალა, ძალაუფლების დემონსტრირებისა და შიშის დანერგვის მოტივით, არალეგიტიმურ/ დისპროპორციულ იძულებას მიმართავს მათ წინააღმდეგ- არღვევს შეკრება-მანიფესტაციის უფლებიდან მომდინარე ნეგატიურ ვალდებულებას. 2. შემთხვევათა ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც, დემონსტრანტების წინააღმდეგ ფიზიკური იერიში საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ჯგუფების მიერაა მიტანილი. ხელისუფლება კი, მიუხედავად ამ იერიშის წინასწარ განჭვრეტადი ხასიათისა, ავლენს უმოქმედობას – არ იცავს დემონსტრანტთა შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებას. მსგავსი ინერტულობის მამოტივირებელი, როგორც წესი, უმრავლესობის სიმპათიების მოპოვება ან ხელისუფლებასთან კონფრონტაციაში მყოფი ჯგუფების დასჯაა.



ერთ-ერთი ინციდენტი, რომელიც შეკრება-მანიფესტაციის უფლების შელახვის ზემოხსენებულ პირველ კატეგორიას განეკუთვნება, არის 2019 წლის 20 ივნისი – ე.წ. „გავრილოვის ღამე“. 20 ივნისის დილიდან, საზოგადოების მწვავე პროტესტი მოჰყვა რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი

გავრილოვის, მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან სიტყვით გამოსვლის სიმბოლურ აქტს. ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლისთვის საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნის დათმობით გამოწვეულმა პროტესტმა, დღის განმავლობაში, მზარდი ხასიათი მიიღო და დღის ბოლოს პარლამენტთან მრავალრიცხოვან აქციაში გადაიზარდა. აქციის მონაწილეების მხრიდან პარლამენტში ძალით შესვლის მცდელობამ და პოლიციასთან ძალისმიერმა დაპირის-

პირებამ სამართალდამცავებს მანიფესტაციის უფლებაში მართლ-ზომიერი ჩარევის საფუძველი გაუჩინა, თუმცა საპოლიციო ღონისძიების დაწყებისა და მიმდინარეობისას, სამართალდამცავების მოქმედება გასცდა კანონის ფარგლებს.

საქართველოს კანონმდებლობის მკაფიო მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის გასაგები ფორმით არ გაკეთებულა გაფრთხილება აქციის შეწყვეტისა და წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალის გამოყენების შესახებ. ამასთან, არსებითად პრობლემური იყო გამოყენებული სპეციალური საშუალებები, ისევე, როგორც მათი ინტენსივობა, ფორმა და მიზანი. როგორც გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რაც შემთხვევაში, რეზინის ტყვიები გამოიყენებოდა სახისა და თავის არეში დამიზნებით, მცირე დისტანციიდან, რაც ტოვებდა განცდას, რომ მსგავსი ქმედების მიზანი იყო დემონსტრანტების დასახიჩრება და არა აქციის დაშლა.

აქციის დარბევის შედეგად, სულ 240 ადამიანი დაშავდა, აქედან: 80 პოლიციელი, 38 ჟურნალისტი და დანარჩენი მშვიდობიანი მომიტინგე. აქციის სამმა მონაწილემ, რეზინის ტყვიის დამიზნებით სროლის შედეგად, ცალი თვალი დაკარგა, მათ შორის, 18 წლის ახალგაზრდამ.⁶⁷

სხვადასხვა რეპრესიული ზომების მიღებით, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ჯგუფების (ჟურნალისტები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ოპოზიციური ძალები) შეკრება-მანიფესტაციის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა აპრობირებულ პრაქტიკად იქცა. შემთხვევათა უმრავლესობაში, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები კანონმდებლობის არაკეთილსინდისიერ ინტერპრეტაციას ეფუძნება.⁶⁸

შეკრება-მანიფესტაციის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის მეორე ფორმის (ხელისუფლების უმოქმედობა) ილუსტრაციაა 2013 წლის 17 მაისი. ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს თბილისში შეკრებილ ღვბტ თემის წევრებს, სასულიერო პირების თანხლებით, ათასობით მონაწილე დაუპირისპირდა. ისინი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებსა და აქტივისტებს. შეხლა-შემოხლის დროს, რაზმც პოლიცია ვერ რეაგირებდა, აქციის რამდენიმე მონაწილე დაშავდა.

67 Tabula.ge, გავრილოვის დამე, *გამოუცხადებელი დახმების ქრონიკა* 4/07/2019

68 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, *ადამიანის უფლებები საქართველოში, 2020 წ.*, 2020 წ, გვ 3

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ამ ინციდენტთან დაკავშირებით, დაადგინა, რომ: „საქართველოს ხელისუფლებამ არ გაატარა ზომები ბრბოსაგან ლგბტ დემონსტრანტების დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებული იყო ამ მოვლენასთან დაკავშირებით არსებული საფრთხის შესახებ. ამის გარდა, არსებობს მტკიცებულებები, კერძოდ, დამოუკიდებელი ჟურნალისტების ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს ხელისუფლების მხრიდან ხელის არშეშლას ძალადობის აქტების მიმართ“⁶⁹ „სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პოლიციის ოფიცრებმა დაამცირეს მოსარჩელე წვერის გაპარსვის მომენტში შეურაცხმყოფელი შედახილებით, რაც, ასევე, გადაღებულია მობილური ტელეფონით და ღიად ასახავს ცრურწმენის გამოხატვას მომჩივნის მიმართ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ასოცირებულია „ლგბტ“ საზოგადოებასთან. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომლების ქცევა წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს არსებით ნეგატიურ ვალდებულებებთან.“⁷⁰

ავტოკრატიაზაციის პროცესში, მმართველი ძალა, საზრდოობს რა პლებისციტური ლეგიტიმაციით პირთა უფლებრივ თანასწორობასა და გაბატონებულ, პოპულარულ შეხედულებებს შორის, მუდამ ამ უკანასკნელს ირჩევს. სწორედ ამით აიხსნება კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობა, რომელსაც ხელისუფლება ყოველწლიურად იჩენს უმცირესობების შეკრება-მანიფესტაციის უფლების უზრუნველყოფის კონტექსტში.

69 *WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA*, 15 December 2021, § 77

70 იქვე, § 78

2.1.4 ნაჩოვრიტიკის ინსტიტუტების ინსტიტუტების სააჩ-ჩევნო მობილიზაციისთვის და ჩევიშე ადამიანების დამოკიდებულის გასაზიდედა

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების მიუხედავად, ხელისუფლება უარს ამბობს ლიბერალური ნარკოპოლიტიკის რეფორმის გატარებაზე, რომელიც, ნარკომომხმარებლების დასჯის ნაცვლად, ფოკუსირებული იქნება ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, დამხმარე სერვისების მიწოდებაზე. Human rights watch-ის შეფასებით, საქართველოში ნარკოპოლიტიკა განსაკუთრებით მკაცრია და საკანონმდებლო რეფორმა, რომლითაც ნარკოტიკის მოხმარებისადმი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული მიდგომები დაინერგებოდა და არსებული სადამსჯელო პრაქტიკა ძირეულად შეიცვლებოდა, არ განხორციელებულა.⁷¹

ლიბერალური ნარკოპოლიტიკის რეფორმის ნაცვლად, ხელისუფლება ცდილობს ნარკოდანაშაულის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას, რასაც მოწმობს 2020 წლის არჩევნების შემდგომ, ხელისუფლების მიერ ამნისტიის აქტის მიღება, რომელიც დაახლოებით 700-მდე ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირს შეეხო. ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებს ყველაზე ხშირად პირობითი სასჯელი ენიშნებათ⁷². „გოგაშვილის ფაილები“ და მათზე მომზადებული სატელევიზიო რეპორტაჟები კი აჩვენებს, რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლება ამომრჩევლის მობილიზაციას ახდენს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების, შეზღუდული უფლებებისა და დაკისრებული ჯარიმების გათავისუფლების სანაცვლოდ.⁷³

71 Human Rights Watch, საქართველო 2020 წლის მოვლენები, ხელმისაწვდომია: [World Report 2021: საქართველო | Human Rights Watch \(hrw.org\)](https://www.hrw.org/report/2021/03/24/georgia-2020)

72 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში 2022 წლის ტენდენციები, გვ. 8, ხელმისაწვდომია: [ნაჩოვრიტიკა_GEO_1691040254.pdf \(socialjustice.org.ge\)](https://www.socialjustice.org.ge)

73 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზაციის აპრობირებული მეთოდები საქართველოში, 2022, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/xlszi>

2.1.5. სოციალური დახმარების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია საარჩევნო მობილიზაციისთვის და ადამიანების ჩევიმზე დამოკიდებულების გასაზღვრად

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში, სხვადასხვა არჩევნებში, საარჩევნო მობილიზაციისთვის, გამოიყენებოდა სოციალური დახმარების სისტემების ინსტიტუციონალიზაცია, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ჩევიმზე დამოკიდებულების გაზრდას ისახავს მიზნად.

მაგალითისთვის, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და სხვა თანამდებობის პირების მიერ დაანონსდა ისეთი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებდა: სამხედრო მოსამსახურეების, სასაზღვრო პოლიციისა და სანაპირო დაცვის შემადგენლობის ხელფასების ზრდას; სკოლის დირექტორების, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასების ზრდას; სოციალურად დაუცველი 16 წლამდე მოზარდების ოჯახებისთვის დახმარების ხუთჯერ ზრდას და სხვა.⁷⁴

გარდა ამისა, 2020 წლის 6 აგვისტოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ მთავრობა, ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით, 200 კილოვატი დენისა და გაზის მოხმარებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაასუბსიდირებდა, 17 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს ერთჯერადად 200 ლარით დაეხმარებოდა და ყველა სოციალურად დაუცველ სტუდენტს (150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონეს) ერთი სემესტრის ანაზღაურებას მისცემდა⁷⁵. 2021 წლის 26 ივნისს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე ოჯახებს, რომელთაც შეეძინება შვილი, იპოთეკური სესხის აღების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ 5-8%-მდე სახელმწიფო სუბსიდირებით. მთავრობამ აღნიშნული ინიციატივის შესაბამისი დადგენილება მიიღო 2021 წლის 2 აგვისტოს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო

74 სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ხელისუფლების მიერ მეორე ტურის წინ დაანონსებული პროგრამები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წარმოადგენს, 2018 წელი, 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mwfDpw7j>.

75 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის, 2020, გვ. 39-40, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lwffWmcP>.

კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე ერთი დღით ადრე⁷⁶. ამით მმართველმა პარტიამ თავი აარიდა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მოქმედ რეგულაციებს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ამგვარ ინიციატივას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად მიიჩნევდა.

საქართველოში არსებული მძიმე სოციალური პირობების გათვალისწინებით, სოციალური პოლიტიკის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება ემსახურება ამომრჩეველთა ნებაზე ზემოქმედებას და ეწინააღმდეგება თანასწორი და კონკურენტული საარჩევნო კამპანიის პრინციპებს.

ზემოთ განხილული მაგალითები აჩვენებს, რომ ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულ არჩევნებზე გამოიყენება ისეთი არაფორმალური პრაქტიკები, რომლებიც ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს და აძლიერებს მმართველი პარტიის ხელისუფლებაში დარჩენის პერსპექტივებს. ეს კი მნიშვნელოვნად აზიანებს არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობას და მის სამართლიანობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ მიერ განხილული პრაქტიკები არის არჩევნების შედეგებზე ზემოქმედებისა და მანიპულაციის მთავარი ინსტრუმენტი, თუმცა ისინი სათანადოდ ვერ აისახება არჩევნების მონიტორინგის შედეგებში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო მისიების მონიტორინგის შედეგებში, რადგან საერთაშორისო დამკვირვებლები, უმეტეს შემთხვევებში, არჩევნების დღეს აკვირდებიან. ამდენად, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიების მანდატისა და სათანადო რესურსების არსებობა, რათა ჩვენ მიერ განხილული პრაქტიკები მოხვდეს არჩევნების შედეგების მონიტორინგის ავტორიტეტულ ანგარიშებშიც.

76 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, 2021, გვ 8, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/WwfDkOuV>.

2.2 **ხეუმიის დოიადისგი/დომინანტი ჯგუფებისთვის პივიდეგიების განმტკიცება**

ავტოკრატიაციის პირობებში, მმართველი ხელისუფლება ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობს არა მხოლოდ ფორმალურ-ინსტიტუციურ დონეზე, არამედ არაფორმალური სოციალური გავლენის სფეროების გაფართოების კონტექსტშიც. იგი ორმხრივი სარგებლის პრინციპზე დაფუძნებულ ურთიერთობაში შედის ისეთ ინსტიტუტებსა თუ ჯგუფებთან, რომლებიც მნიშვნელოვან სოციალურ ავტორიტეტს ფლობენ, გარკვეული გავლენა აქვთ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და ნაწილობრივ აყალიბებენ კიდეც სოციუმის ღირებულებით სისტემას. მსგავს ურთიერთობაში, ხელისუფლებას ელექტორული მხარდაჭერის მიღების სურვილი ამოძრავებს, სოციალური ავტორიტეტის მატარებელი ჯგუფების მოტივი კი სანაცვლოდ უფლებრივი და მატერიალური პრივილეგიების მიღებაა. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სისტემის კავშირები სოციალური ავტორიტეტის მატარებელ ჯგუფებთან/ინსტიტუტებთან, იწვევს ხელისუფლების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ეთიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევასაც. საქართველოს კონტექსტში, შეგვიძლია სოციალური ავტორიტეტის მატარებელი ორი ძირითადი ჯგუფი გამოვყოთ: 1. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია; 2. კრიმინალური, ე.წ. „ქურდული სამყარო“

დომინანტი რელიგიური ჯგუფის – საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის – სხვადასხვა მმართველ პოლიტიკურ ძალასთან მჭიდრო კავშირის ფორმალური სამართლებრივი საფუძველი 2002 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმებაა, თუმცა ეს კავშირი, ხშირ შემთხვევაში, სცდებოდა კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილ მანდატს. დომინანტ რელიგიურ ჯგუფს აქვს გავლენა როგორც კანონშემოქმედებით პროცესზე, ისე ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე.⁷⁷

პირობითად, 2013 წლის დეკემბერში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე მუშაობისას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა, რომ „თვითმმართველობის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს დანაწევრების საფრთხეს ქმნიდა და ეკლესია ამ ფაქტს არ შეეგუებოდა. აღნიშნული შეფასების შემდეგ,

77 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, *ხეივანისა და ხეების თავისუფლება საქართველოში(TDI)2010-2019*, 2020 წ, თავი 1/2

ხელისუფლების წარმომადგენლები კონსულტაციების გასამართად საპატრიარქოში მივიდნენ, ხოლო კონსულტაციების შემდეგ განაცხადეს, რომ „რამდენიმე ნორმა დაიხვეწა“. საბოლოოდ, კანონპროექტმა საპატრიარქოსთვის მისაღები ფორმა შეიძინა, რომლის თანახმადაც, თვითმმართველობის კოდექსში არსებული მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებები სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებად უნდა გარდაქმნილიყო.⁷⁸

2016 წლის ივნისში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ერთწლიანი განხილვის შემდეგ, დაამტკიცა საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტი. დოკუმენტის თავდაპირველ სამუშაო ვერსიაში შედიოდა თავი სათაურით „რისი მწამს და რისი მჯერა“, ასევე, სადისკუსიო თემები: „რატომ არ შეიძლება რელიგიის სახელით ძალადობა, რატომ უნდა ვცეთ პატივი განსხვავებული რწმენის ადამიანს“ და ა. შ., ტერმინები: „ტოლერანტობა“, „უმცირესობა“, „გენდერი“. თუმცა საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნით, მასთან გამართული კონსულტაციების შედეგად, სამინისტრომ დოკუმენტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ უარყოფითად შეფასებული საკითხები და ტერმინები ამოიღო.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემას, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას, სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან შედარებით, პრივილეგირებულ პირობებს უწესებს, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებში ვხვდებით. კერძოდ, რელიგიური გაერთიანებები, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მოკლებული არიან შესაძლებლობას, პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძინონ სახელმწიფო ქონება, ან მიიღონ ის უსასყიდლოდ.

მაგალითად, 2013 წელს სსიპ ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ სცადა თავის მფლობელობაში არსებული საკულტო ნაგებობის შემოღობვა გორში, რათა იგი დაზიანებისგან დაეცვა. მაგრამ რადგან უძრავი ქონება მისი საკუთრება არ იყო, სახელმწიფომ შემოღობვის უფლება არ მისცა. ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს, თუმცა, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სახალხო დამცველს აცნობა, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ქონების

78 იქვე, გვ 29

შეძენა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ შეუძლია⁷⁹.

საქართველოს ხელისუფლებამ 2016 წლის არჩევნებზე პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილად აქცია ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ქორწინებისა და უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვის აკრძალვის ჰომოფობიური და ქსენოფობიური რიტორიკა. ეს რიტორიკა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას და მიმართული იყო საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილი ჯგუფების სიმპათიის მოპოვებისკენ.

საქართველოს რეალობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ავტორიტეტის მატარებელი ინსტიტუტია ე.წ. „ქურდული სამყარო“, რომელთან თანამშრომლობაც, მზარდი ავტოკრატიზაციის პირობებში, ხელისუფლების დღის წესრიგის ნაწილად იქცა. ხელისუფლებასა და კრიმინალურ სუბკულტურას შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტუალურია წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედება ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი წინაპირობაა.

კრიმინალური სამყაროს კავშირი ხელისუფლებასთან „თაფლაკვერისა და მათრახის“ პრინციპს ეფუძნება. როგორც ორგანიზაცია „პრევენცია პროგრესისთვის“ მიუთითებს ხშირია შემთხვევა, როდესაც ხელისუფლების სასარგებლოდ აქტიურობის სანაცვლოდ, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენელს ოჯახის წევრის ან მეგობრის პატიმრობიდან გათავისუფლებას სთავაზობდნენ. ორგანიზაციის „პრევენცია პროგრესისთვის“ კვლევის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების დარიგება და ამ ფორმით კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მოტივირება სახელისუფლებო პარტიისა თუ კანდიდატების მხარდაჭერის პროცესში, ასევე, ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს⁸⁰ (თაფლაკვერის პრინციპი). აღნიშნულის საპირისპიროდ, უარი სახელისუფლებო დაკვეთის შესრულებაზე შესაძლოა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების, სასჯელის გამკაცრების ან პენიტენციურ დაწესებულებაში არაადამიანური მოპყრობის საფუძველიც კი გახდეს (მათრახის პრინციპი).

79 იქვე, გვ 48

80 პრევენცია პროგრესისთვის, *კრიმინალური ავტოკრატების/ახაფოხმაღუხი ჯგუფების გავლენა სააჩრევნო პროცესზე*, 2022 წ, გვ 10

მაგალითისთვის, 2022 წლის 25 აპრილს მედიასაშუალებების ეთერში გავრცელდა ინფორმაცია კანონიერი ქურდის „რევაზ ჯვარსკისა“ და N9 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის დაპირისპირების შესახებ. კანონიერი ქურდის ოჯახის მტკიცებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა „რევაზს ჯვარსკის“ არჩევნებზე დახმარება სთხოვეს, თუმცა მათ უარი მიიღეს. საპასუხოდ, N9 პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა კანონიერ ქურდს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, „რევაზ ჯვარსკის“ მხრიდან საპასუხო აგრესიის მიღების შემდეგ კი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. „რევაზ ჯვარსკიმ“ რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა.⁸¹

81 ტვ პირველი, თამთა დოლენჯაშვილის სპეციალური რეპორტაჟი / ნოდარ მელაძის შაბათი, ციხის უფოსმა „კანონიერ ქურდს“ სცემა – ვიდეოჩანაწერები ხევაზ „ჯვარსკის“ საკნინდან- 2 აპრილი 2022

